საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020164740668721

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/3577 **16 / ივნისი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (1 452 000 m^3/წელიწადში, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID_19363_51021, 27.01.2021 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (10 წყარო) წარმოდგენილია თეთრი ღელეს (I), მუხურას (I და II), ხოჭოულას და ძუსას სათავე ნაგებობებით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 765-1165 მეტრის სიმაღლეზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვ. shape ფაილი

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე